



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080195922553419

№ 2943

08 / ივლისი / 2019 წ.

შპს „საბა +“-ს შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა;

ტენდერის ნომერი: NAT190005973;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „საბა +“ (ს/ნ: 412731584);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 21 ივნისს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2019 წლის 20 ივნისის № 33-01191711986 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6676), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „საბა +“-ს (ს/ნ: 412731584) მიერ NAT190005973 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 3 მაისის № 02.09.13/30.072 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „საბა +“-ს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის zazacanava1@gmail.com მეშვეობით, 2019 წლის 25 ივნისის № 2404 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2019 წლის 3 მაისის № 02.09.13/30.072 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში (2019 წლის 2 ივნისის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ქალაქ თბილისში ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე, სალიების ქ. № 58-ში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 39 796,76 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 დეკემბერი. მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ 2019 წლის 19 ივნისის № 33-01191702028 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2019 წლის 3 მაისის № 02.09.13/30.072 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „საბა +“-ს დააკისრა პირგასამტეხლო 2 252,52 ლარის ოდენობით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 22 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ გამოაცხადა NAT190005973 ელექტრონული ტენდერი საყრდენი კედლების (CPV45262620) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 25 აპრილის № 3 სხდომის ოქმით შპს „საბა +“ (ს/ნ: 412731584) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 3 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა № 02.09.13/30.072 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში (2019 წლის 2 ივნისის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა ქალაქ თბილისში ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე, სალიების ქ. № 58-ში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 39 796,76 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2019 წლის 31 დეკემბერი.

4.4. № 02.09.13/30.072 ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაეწყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 15 მაისის № 33-0119135366 და 22 მაისის № 33-01191423473 წერილებიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელს არ დაუწყია სამუშაოების შესრულება. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოსთხოვა სამუშაოების დაწყება და გააფრთხილა, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი შეწყვეტდა №02.09.13/30.072 ხელშეკრულებას.

4.6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის პირველად სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის 2019 წლის 14 ივნისის №33-01191653374 მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულება დაიწყო 2019 წლის 24 მაისიდან, თუმცა პროცესი რამდენიმე დღე გაგრძელდა და სამუშაოები კვლავ არ მიმდინარეობდა.

4.7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ 2019 წლის 19 ივნისის №33-01191702028 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული 2019 წლის 3 მაისის №02.09.13/30.072 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და შპს „საბა +“-ს დააკისრა პირგასამტეხლო 2 252,52 ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „საბა +“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არ შეასრულა 2019 წლის 3 მაისის №02.09.13/30.072 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად,

სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „საბა +“ (ს/ნ: 412731584) 2018 წლის 28 ივნისსა და 3 ივლისს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT190006836 და NAT190004817 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის შავ სიაში მანამდე არსებული რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „საბა +“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „საბა +“ (ს/ნ: 412731584) 2019 წლის 9 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე